

შპს „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია

რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/45 24 აგვისტო 2012 წ.

არაფორმალური პროფესიული განათლების  
აღიარების პირობები და წესი

თბილისი  
2012წ.

# არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი

## მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე წესი ადგენს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებსა და პროცედურას.

## მუხლი 2. არაფორმალური პროფესიული განათლება და მისი აღიარების უფლება

1. არაფორმალური პროფესიული განათლება არის პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად;
2. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
3. არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების აღიარება დაუშვებელია პროფესიული განათლების IV და V საფეხურების ფარგლებში.

## მუხლი 3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ზოგადი პირობები

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება I-III საფეხურებზე დაიშვება ყველა პროფესიისათვის. გარდა რეგულირებადისა.
2. პროფესიული განათლების III საფეხურის არაფორმალური განათლების აღიარების დამატებითი აუცილებელი პირობაა პირის მიერ შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დადასტურება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტისათვის გათვალისწინებული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის საფუძველზე.
3. რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

## მუხლი 4. განცხადება არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე

1. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში ფაკულტეტი) უფლებამოსილია პირის მიერ სათანადო განცხადებით მომართვის საფუძველზე მოახდინოს მის მიერ არაფორმალურ გარემოში შეძენილი ცოდნის/პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასება.
2. განცხადების წარდგენის ვადას ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი.
3. არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე განცხადება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - განმცხადებლის სახელსა და გვარს;
  - დაბადების თარიღს;
  - პირად ნომერს;
  - საკონტაქტო ინფორმაციას;
  - არაფორმალურ გარემოში მიღებული განათლების დეტალურ აღწერას;
  - მოთხოვნას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ
  - განმცხადებლის პირად ხელმოწერასა და თარიღს;
  - მითითებას თანდართული დოკუმენტაციის შესახებ.

4. არასრულწლოვანი განმცხადებელის ნაცვლად განცხადებას ადგენს მისი კანონიერი წარმომადგენელი. ასეთ შემთხვევაში დამატებით მიეთითება ინფორმაცია, კანონიერი წარმომადგენლის შესახებ.

5 არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე განცხადებას თან უნდა ახლდეს:

- განმცხადებლის პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი (თუკი განმცხადებელი არასრულწლოვანია, მაშინ დამატებით მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამდასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი);
- I, II საფეხურის პროფესიული განათლების აღიარების თაობაზე განაცხადის შემოტანისას, პირის მიერ ზოგადი/საბაზო/საშუალო განათლების დამდასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიალურად დადასტურებელი ქსეროასლი;
- III საფეხურის პროფესიული განათლების შესატყვისი არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე განაცხადის შემოტანისას - სრული ზოგადი განათლების დამდასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიალურად დადასტურებული ქსეროასლი;
- არაფორმალურ გარემოში მიღებული განათლების რაიმე სახით დამდასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, მოწმობა და ა.შ.) ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- III საფეხურის პროფესიული განათლების შესატყვისი არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, უნარების ტესტის მინიმალური კომპეტენციების გადალახვის დამდასტურებელი დოკუმენტი.

#### **მუხლი 5. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე უფლებამოსილი ორგანო და განათლების აღიარება**

1. დაინტერესებული პირის მიერ მე-3 მუხლის შესაბამისად განცხადებით მომართვის შემთხვევაში ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე რექტორი ქმნის არაფორმალური განათლების ამლიარებელ კომისიას.

2. არაფორმალური პროფესიული განათლების ამლიარებელი კომისიის უფლებამოსილების ვადა შეიძლება განისაზღვრება ყოველი კონკრეტული საკითხის განხილვა/გადაწყვეტისთვის საჭირო ვადით.

3. არაფორმალური პროფესიული განათლების ამლიარებელი კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

4. არაფორმალური განათლების ამლიარებელი კომისია ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:

- დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედარებას მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტში მოქმედ წესებთან

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ატარებს გამოცდას დაინტერესებული პირის მიერ არაფორმალურ გარემოში მიღებული პროფესიული განათლების შესაბამის პროფესიულ სტანდარტთან და უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ცოდნასთან, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებსა და პროფესიულ ღირებულებებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის სხდომაზე დგება სხდომის ოქმი. ოქმში დეტალურად აისახება ინფორმაცია განსახილველი საკითხის შესახებ, განხილვის მიმდინარეობა, სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები, და ა.შ. სხდომის დამთავრებისთანავე ოქმს ხელს აწერენ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 6. არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის თითოეული კომპონენტის შეფასების წესი**

1. არაფორმალურ გარემოში პირის მიერ მიღებული ცოდნის ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.
2. თითოეული კომპონენტი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. შეფასების სისტემით გათვალისწინებულია 5 სახის დადებითი და 2 სახის უარყოფითი შეფასება.  
დადებითი შეფასებებია:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 91%-ზე მეტი	A - „ფრიადი“
მაქსიმალური შეფასების 81-90%	B - „ძალიან კარგი“
მაქსიმალური შეფასების 71-80%	C - „კარგი“
მაქსიმალური შეფასების 61-70%	D - „დამაკმაყოფილებელი“
მაქსიმალური შეფასების 51-60%	E - „საკმარისი“

უარყოფით შეფასებებია:

ქულა	შეფასება
მაქსიმალური შეფასების 41-50%	Fx - „ვერ ჩააბარა“
მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები	F - „ჩაიჭრა“

3. არაფორმალური პროგრამის კომპონენტი აღიარებულად ჩაითვლება შესაბამის კომპონენტში ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღწევის შედეგად.
4. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში შესაბამისი კომპონენტი არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს არ უღიარდება.
5. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:
  - ა) უნივერსიტეტის დასახელებას;
  - ბ) განმცხადებლის ვინაობას;
  - გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;
  - დ) არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამის დასაბუთებას;
  - ე) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;
  - ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.
6. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.
7. არაფორმალური განათლების აღიარებაზე გადაწყვეტილებას ხელს აწერს დაწესებულების ხელმძღვანელი და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.

## **მუხლი 7. არაფორმალური განათლების აღიარების თავისებურებები**

1. არაფორმალური განათლების შესატყვისი, პროფესიული განათლების III საფეხურის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობას არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი დამატებით ადასტურებს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტისათვის გათვალისწინებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის საფუძველზე.
2. პროფესიული განათლების III საფეხურის შესაბამისი არაფორმალური განათლების აღიარება იმ პროფესიის ფარგლებში, რომლის ათვისება არ არის შესაძლებელი მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტით დასადგენი ზოგადი კომპეტენციების საფუძველზე და რომლის ათვისებისათვის პროფესიული სტანდარტი ითვალისწინებს დამატებით სპეციალური კომპეტენციების ფლობას, შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და უფლებამოსილი კომისიის მიერ სპეციალური კომპეტენციების შემოწმების შედეგად, სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში პირის მიერ პროფესიული განათლების III საფეხურის შესაბამისი კომპეტენციების ფლობა ცალკეულ პროფესიაში დასტურდება ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პირის მიერ ზოგად უნარებში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შესახებ.
4. წინამდებარე წესით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას, არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილებაში დამატებით მიეთითება ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შესახებ.